

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანანესი



შინაგანანესი

პრეამბულა

ეს შინაგანანესი განსაზღვრავს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) წესდებით დადგენილზე დამატებით საჭირო რეგულაციებს/ნორმებს.

ამ შინაგანანესის მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტისთვის. ასევე სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის.

თავი I. შრომის პირობები, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და წესი

მუხლი 1. ადმინისტრაციული, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის შრომით პოზიციებზე დასაქმების უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ტექნიკური პერსონალის (დამლაგებელი, მეგზოვე, მებაღე, ლიფტის სპეციალისტი, დაცვის/უსაფრთხოების პერსონალი, მძღოლი) შრომით პოზიციებზე დასაქმების უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს. შრომითი საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

3. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის სამუშაო აღწერილობები განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 2. ადმინისტრაციული, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ეთიკის ნორმები და ვალდებულებანი ადმინისტრაციული, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის მოვალეობაა სასწავლო უნივერსიტეტში შექმნან საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროფესიული

განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ- ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო. ამისათვის ამ კატეგორიის პერსონალი ვალდებულია:

ა) სამსახურებრივი საქმიანობა დააფუძნოს საქართველოს კანონმდებლობისა და ეთიკის მაღალ სტანდარტებს;

მათშორის:

ა.ა) დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილ მარეგულირებელ წესებს;

ა.ბ) პატივისცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს; ა.გ)

პერსონალსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით;

ა.დ) თავი შეიკავოს პერსონალისა და სასწავლო უნივერსიტეტის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი

საქციელისაგან;

ა.ე) აქტიური დახმარება გაუწიოს კოლეგებს პროფესიული განვითარების საქმეში;

ა.ვ) თავი შეიკავოს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოსა და სპირტიანი სასმელის მოხმარებისაგან;

ა.ზ) არ გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი საკუთარი გამორჩენის მიზნით, არ მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც თანამშრომლებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

ა.თ) ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, ხელიშეუწყოს მოსაზრებათა და

შეხედულებათა გაცვლას;

ა.ი) არ გამოიყენოს სტუდენტების შესაძლებლობა პირადი გამორჩენის მიზნით ან/და თანამშრომლებთან

უთანხმოების ინსტრუმენტად;

ა.კ) ხელიშეუწყოს საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის ამაღლებასა და განმტკიცებას;

ბ) განახორციელოს ისეთი მენეჯმენტი, რომელიც გამორიცხავს ადამიანის დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის,

რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე;

გ) მიიღოს აქტიური მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და საორგანიზაციო საქმიანობაში და მასზედ დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად, დროულად და ხარისხიანად;

დ) სასწავლო უნივერსიტეტის საწესდებო მიზნების უზრუნველსაყოფად ეფექტურად გამოიყენოს მინდობილი

ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს, რომელსაც სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია განახორციელოს სამსახურებრივი მოქმედება,

სამსახურებრივი საკითხების უზრუნველსაყოფად აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება მის ხელთ არსებული საშუალებებით;

ვ) სპეციალური მითითების გარეშე გაეცნოს და მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების დროს დაიცვას ეს

წესდება და ყველა სხვა რეგულაცია, რომელიც მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.

მუხლი 3. აკადემიური, მონვეული სპეციალისტებისა და მასწავლებელთა პერსონალის სამუშაო აღწერილობები და

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, მონვეული პერსონალის შრომით პოზიციებზე დასაქმების უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირს, საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, მონვეული პერსონალის პერსონალის სამუშაო აღწერილობები განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 4. აკადემიური, მონვეული პერსონალის ეთიკის ნორმები და

ვალდებულებანი აკადემიური, მონვეული პერსონალი სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი

საწესდებო საქმიანობის წარმმართველი ძალაა. ამ კატეგორიის პერსონალი ვალდებულია:

ა) სამსახურებრივი საქმიანობა დააფუძნოს საქართველოს კანონმდებლობასა და ეთიკის მაღალ სტანდარტებს;

მათ შორის:

ა.ა) პატივისცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს; ა.ბ)

დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილ მარეგულირებელ წესებს;

ა.გ) პერსონალსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით;

ა.დ) არ დაუშვას ლექციის, მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა სერიოზული საპატიო მიზეზის

გარეშე;

ა.ე) სტუდენტების შეფასების პროცესში იმოქმედოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად. მის მიერ მიცემული შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებებულები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა;

ა.ვ) თავი შეიკავოს პერსონალისა და სასწავლო უნივერსიტეტის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი

საქციელისაგან;

ა.ზ) აქტიური დახმარება გაუწიოს კოლეგებს პროფესიული განვითარების საქმეში;

ა.თ) თავი შეიკავოს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოსა და სპირტიანი სასმელის

მოხმარებისაგან;

ა.ი) არ გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი საკუთარი გამორჩენის მიზნით, არ მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც თანამშრომლებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

ა.კ) ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, ხელიშეუწყოს მოსაზრებათა და

შეხედულებათა გაცვლას;

ა.ლ) არ გამოიყენოს სტუდენტების შესაძლებლობა პირადი გამორჩენის მიზნით ან/და თანამშრომლებთან

უთანხმოების ინსტრუმენტად;

ა.მ) ხელიშეუწყოს საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის ამაღლებასა და

განმტკიცებას;

ა.ნ) არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან

პრივილეგიურ მდგომარეობაში;

ა.ო) თავი შეიკავოს სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის სასწავლო უნივერსიტეტში თავისი მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას;

ბ) შექმნას ყველა საჭირო პირობა აკადემიური და პროფესიული გარემოს არსებობისათვის;

გ) მიიღოს აქტიური მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და საორგანიზაციო საქმიანობაში და მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად, დროულად და ხარისხიანად;

დ) სისტემატიურად იღვწოდეს აკადემიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად;

ე) შეიმუშაოს სწავლების ისეთი მეთოდები, საშინაო დავალებისა და შეფასების სისტემა, რომლებიც წაახალისებს

სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს;

ვ) სამსახურებრივი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, დანიშნულებისამებრ და ეფექტურად

გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები;

ზ) მაქსიმალურად ხელიშეუწყოს მაღალი პროფესიული დონის ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და ჩამოაყალიბებას. გაუწიოს სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა, რისთვისაც ოფიციალურად უნდა გამოეყოფოს საკონსულტაციო დამატებითი საათები;

თ) სასწავლო პროცესი წარმართოს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით. საფუძვლიანად შეიმუშაოს სალექციო კურსების თემატიკა და სტრუქტურა, დარგის ან მეცნიერების შესაბამის

სტეროში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ, პერიოდულად განაახლოს სალექციო კურსი და სრულყოს მისი წარმართვის მეთოდიკა;

ი) ლექციაზე/სემინარზე შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული;

კ) არ დაუშვას ლექციის/სემინარის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა;

ლ) დანიშნულ დროს დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატაროს გამოცდა და შეაფასოს ყველა გამოცხადებული

სტუდენტის ცოდნა;

მ) ხელიშეუწყოს ობიექტურ და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებას. სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. გამორიცხოს შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა და სხვა;

ნ) სპეციალური მითითების გარეშე გაეცნოს და მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების დროს დაიცვას ეს

წესდება და ყველა სხვა რეგულაცია, რომელიც მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.

მუხლი 5. პერსონალის ვალდებულებები თანამდებობიდან გათავისუფლების, სამსახურებრივი მივლინების ან/და შვებულებაში გასვლის დროს

1. პერსონალის სამსახურებრივი პოზიციიდან გათავისუფლების შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში, პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურთან დაკავშირებული და მისთვის მინდობილი დოკუმენტაციის (შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით) და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ქონების (მატერიალური ფასეულობის) უშუალო ხელმძღვანელისათვის გადაცემა.

2. პერსონალი ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე ან სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებამდე, უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემა მისი შემცვლელი პირის ან/და ზემდგომი თანამდებობის პირისათვის (შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით).

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი შვებულებაში ან სამსახურებრივ მივლინებაში მყოფი თანამშრომლის დოკუმენტაციას კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, აძლევს შესაბამის მსვლელობას.

მუხლი 6. სტუდენტის ეთიკის ნორმები და ძირითადი ვალდებულებანი

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას საყოველთაოდ მიღებული ეთიკისა და ქცევის ნორმები; მისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად

ჩაითვლება:

- ა.ა) სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესებისადმი დაუმორჩილებლობა; ა.ბ) სასწავლო უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა;
- ა.გ) სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის შემლახავი ინფორმაციის გავრცელება;
- ა.დ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, ღერეფანში აურზაური და სხვა);
- ა.ე) სასწავლო უნივერსიტეტში ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში გამოცხადება; ა.ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოსა და სპირტიანი სასმელის მოხმარება; ა.ზ) აზარტული თამაშები;
- ა.თ) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);
- ა.ი) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
- ა.კ) ბილწსიტყვაობა;
- ა.ლ) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა სტუდენტისათვის შეურაცხყოფის მიყენება;
- ა.მ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე:
- ა.მ.ა) ალკოჰოლური სასმელების ან/და ნარკოტიკული, ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან გამოყენება;
- ა.მ.ბ) ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება;
- ა.მ.გ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომლებიც ხანძრის ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;
- ა.ნ) ზოგად ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ სასწავლო უნივერსიტეტის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა თუ სად არის იგი ჩადენილი;
- ა.ო) აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:
- ა.ო.ა) სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარს წარმოჩენას ან/და სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენებას, რომელიც წინასწარ არ არის ნებადართული;

ა.ო.ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას ან თხოვნას სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;

ა.ო.გ) კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას გამოცდის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას; ა.ო.დ)

წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირებას;

ა.ო.ე) თავისი მონაცემების გაყალბებას;

ა.ო.ვ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვას, განადგურებას ან/და შეცვლას;

ა.ო.ზ) ხელის შეშლას სხვა სტუდენტისთვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით,

მოპარვით ან განადგურებით;

ა.ო.თ) სხვა სტუდენტისთვის ხელის შეწყობას აკადემიურ სიყალბეში;

ა.ო.ი) კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენებას ან გაყალბებას;

ა.ო.კ) შეფასების მიღების მცდელობას გამომცდელზე მუქარით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ქმედებით;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიცემული მითითებები და დავალებები;

გ) პატივისცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს;

დ) პატივისცეს

სასწავლო უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს;

ე) ხელიშეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას; ვ) არ დაიგვიანოს

ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე;

ზ) ისწავლოს ყველა ის სავალდებულო და საკუთარი სურვილით არჩეული სასწავლო დისციპლინა, რომელიც

დადგენილია სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით;

თ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში აკადემიური (კრედიტის) დავალიანების შემთხვევაში,

შესაბამისი სასწავლო დისციპლინა შეისწავლოს განმეორებით;

ი) სასწავლო კურსის (სასწავლო დისციპლინის) განმეორებით შესწავლა განახორციელოს შესაბამის კურსებზე;

კ) დაიცვას ტექნიკის, სანიტარიის, პირადი ჰიგიენისა და ხანძარსა და სიბრძნისა და სხვა უსაფრთხოების მოთხოვნები,

რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით;

ლ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის

ჯეროვანი დაცვა;

მ) წერილობითი გაფრთხილებისა და შესაბამისი თანხმობის გარეშე არ მიატოვოს სასწავლო უნივერსიტეტში

სწავლა;

ნ) სპეციალური მითითების გარეშე გაეცნოს საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესდებისა და სხვა შიდა

რეგულაციების მოთხოვნებს და დაიცვას ისინი მკაცრად და განუხრელად.

მუხლი 7. პერსონალის სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც სასწავლო უნივერსიტეტის ყველა კატეგორიის პერსონალი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოვალეობანი.

2. სასწავლო უნივერსიტეტში დაწესებულია 5 დღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით. სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ზოგიერთი კატეგორიის პერსონალისათვის დასაშვებია 6 დღიანი სამუშაო კვირა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

3. პერსონალის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო დაკავშირებულია შრომითი ურთიერთობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან. სასწავლო უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის სამუშაო დროის ხანგრძლივობა შესაძლებელია განისაზღვროს ურთიერთ შეთანხმებით საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი წესით. დასაქმებულის შრომითი პროცესი თუ ითვალისწინებს 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

4. ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

5. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

მუხლი 8. პერსონალის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ვალდებულება და პირობები

1. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის

სათანადო

ანაზღაურებით.

2. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის - კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის - კვირაში 24 საათს.

4. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის შეთანხმებით. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

5. აკრძალულია ღამის პერიოდში (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეტუქური ქალის სამუშაოზე დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება - მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 9. პერსონალის შესვენების დრო

1. სამსახურებრივი მოვალეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პერსონალს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით.

2. შესვენების პერიოდი არ შედის სამუშაო დროში და პერსონალი მას იყენებს თავისი ნებასურვილის შესაბამისად. დროის ამ შუალედში მას ეძლევა სამუშაო ადგილიდან წასვლის უფლება.

3. პერსონალს, რომელიც მეტუქური ქალია და კვებას 2 წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურებადი.

მუხლი 10. პერსონალის დასვენების დღეები

სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილია ორი დასვენების დღე კვირაში (შაბათი და კვირა). პერსონალს ასევე უფლება აქვს დაისვენოს საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილ უქმე დღეებში.

მუხლი 11. პერსონალის შვებულების მიცემის წესი, ხანგრძლივობა და საშვებულებო ანაზღაურება

1. სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი კატეგორიის პერსონალს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და განსაზღვრული პერიოდით, ისარგებლოს ანაზღაურებადი და/ან ანაზღაურების გარეშე შვებულებით.

2. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 12. პერსონალზე შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისთვის შრომის ანაზღაურება წარმოებს განსაზღვრული სამსახურებრივი პოზიციებზე შრომითი ხელშეკრულებებით/საშტატო განრიგით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით.

2. პერსონალს შრომის ანაზღაურება ეძლევა თვეში ერთხელ უნაღლო ანგარიშსწორებით (ბანკში მის პირად ანგარიშზე გადარიცხვით).

3. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სასწავლო უნივერსიტეტში არსებული გარემოებების მიზეზით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. პერსონალის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

4. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50%-ს.

5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. სასწავლო უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას სახაზინო/საბანკო სისტემაში წარმოქმნილი მიზეზებით შრომის ანაზღაურების გაცემის შეფერხებებზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

მუხლი 13. პერსონალის წახალისების ფორმები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი კატეგორიის პერსონალის მიმართ, სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი პრემია;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;

დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება.

2. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 14. პერსონალის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, მისი რექტორის სამართლებრივი აქტი(ებ)თ, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 15. დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველი

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისთვის ან/და სტუდენტის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს მის მიერ ამ წესდების მოთხოვნ(ებ)ის დარღვევა. დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის აღძვრა შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერ პერსონალს ან/და სტუდენტს. მუხლი 16. პერსონალზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ დისციპლინარული დევნა უნდა იყოს დისციპლინარული გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.

2. პერსონალის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შესწავლისა და დადგენის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელი დროებითი კომისია. რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პერსონალის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე დასაბუთებული/კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ამზადებს შესაბამის დასკვნას დადგენილ ვადებში.

3. შრომის დისციპლინის დამრღვევს, დისციპლინარული გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

4. შვებულებაში ან სამსახურებრივ მივლინებაში მყოფი პერსონალის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა შეიძლება მისი სამუშაო ადგილზე გამოცხადების შემდეგ.

5. დისციპლინარული დევნის განხორციელებისას პერსონალს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინარული დევნის დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის

უფლებით;

გ) დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელ დროებით კომისიას მიაწოდოს

მის ხელთ არსებული ინფორმაცია/მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;

დ) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინარული დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან წერილობით გაასაჩივროს დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნა, მის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენის შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში.

6. შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, ფაქტობრივი გარემოებების, პერსონალის წინანდელი მუშაობისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით, ამ წესდების დარღვევისათვის პერსონალის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) შენიშვნა;
- ბ) გაფრთხილება; გ) საყვედური;
- დ) სასტიკი საყვედური;
- ე) თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) 50%-მდე დაქვითვა; ვ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

7. ყოველი დისციპლინარული გადაცდომისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური ღონისძიება.

8. პერსონალს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სტუდენტზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინარული ღონისძიება უნდა იყოს დისციპლინარული გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შესწავლისა და დადგენის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელი დროებითი კომისია. რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე დასაბუთებული/კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ამზადებს შესაბამის დასკვნას დადგენილ ვადებში.

4. დისციპლინარული ღონისძიების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელ დროებით კომისიას მიაწოდოს

მის ხელთ არსებული ინფორმაცია/მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;

დ) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინარული დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

ე) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან წერილობით გაასაჩივროს დისციპლინარული ღონისძიების განხორციელების საფუძვლის შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნა, მის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენის შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. დისციპლინარული დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს. დისციპლინარული დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს. კანონმდებლობის წესების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

6. დისციპლინარული გადაცდომისთვის სტუდენტის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ღონისძიებები: ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

7. სტუდენტს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების ზოგადი

ინსტრუქცია. პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოების მექანიზმები

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შინაარსი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში - ფაკულტეტი) აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებას უზრუნველყოფენ მასზე არსებული სასწავლო მიმართულებები/კურსები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები.

2. საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს ფაკულტეტი საბჭო და მისივე წარდგინებით, დადგენილი წესით ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებამდე ან მის შემდგომ, შესაძლებელია შესაბამის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არგუმენტირებული რეკომენდაციები/დასკვნები, მისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა მიეთითოს: პროგრამის სახელწოდება; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებით; სწავლების ენა; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი (რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე); პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

4. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ახლდეს: სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები); ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ; პროგრამის დამტკიცების აქტი (საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იყოს დადგენილი წესით).

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და ყოველთვის უნდა იყოს: ფორმულირებული ნათლად და არაორაზროვნად, თანმიმდევრული ერთი კვალიფიკაციის თვალსაზრისით და არაურთიერთსაინანაღმდეგო, აგრეთვე რეალისტურად მიღწევადი. მიზნებში მოცემული უნდა იყოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობები როგორებიცაა: დასაქმებულობა (დასაქმების სფერო), სამეცნიერო ხარისხი, პიროვნული განვითარება, მოქალაქეობრივი ღირებულებები და ა.შ. აგრეთვე კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას. კომპეტენციები სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება.

6. კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობა დამატებით შეიძლება იყოს სპეციალური მოთხოვნები, რაც უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს ერთიან ეროვნულ (ან შესაბამისად სამაგისტრო) გამოცდებზე გამოყენებული ტესტების სირთულეს.

7. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს და ითვალისწინებდეს სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა საჭიროებებს, როგორიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებები, შრომის ბაზარი/ეკონომიკა, მთავრობა, სტუდენტები, მშობლები, პროფესიული ორგანიზაციები, საზოგადოების სხვა დაინტერესებული მხარეები. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.

8. კურიკულუმის ორგანიზება, პროგრამით გათვალისწინებული სწავლება და სტრატეგიები ხელს უნდა უწყობდეს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა იძლეოდეს კონკრეტული სწავლის შედეგის შემოწმების საშუალებას.

9. სასწავლო გეგმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მონვეული სპეციალისტების პერსონალი, სტუდენტები და შესაძლოა, სხვა მოქმედი პირები უნდა იყვნენ ჩართულნი როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, აგრეთვე მის გარეთ ისეთი მექანიზმებით როგორიცაა მაგალითად შრომის ბაზრის კვლევა განხორციელებული

კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ (სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო და ა.შ.) და/ან სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა ან მცირე მასშტაბიანი გამოკითხვა.

10. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების და მოდულების წყობა უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. მოდულები/კურსები პირველ სემესტრებში უნდა ატარებდეს გაცნობით ხასიათს, ხოლო შემდგომ სემესტრებში უფრო კომპლექსური ხასიათს. მოდულების/კურსების შედეგები სხვა მოდულებთან მიმართებით უნდა იყოს გათვალისწინებული სემესტრებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შინაარსის განაწილების დროს. ამასთან, პროგრამის გრაფიკი და გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სავალდებულო კურსები/მოდულები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.

11. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში შეფასების მეთოდები და ფორმები უნდა იყოს ადაპტირებული პროგრამის კურსისა და მოდულის სწავლის შედეგებთან ისე, რომ მათ ნამდვილად ასახონ სწავლის შედეგების მიღწევა.

12. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და არსებობის შემთხვევაში, შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანები საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ დასაქმება ეკონომიკურ/საზოგადოებრივ სექტორში, აგრეთვე სწავლის გაგრძელება შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

13. სტუდენტის საქმიანობის შეფასება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სასწავლო უნივერსიტეტში. შეფასებას აქვს ორმაგი ფუნქცია - სტუდენტების მიღწევების გაკონტროლება და ასევე სწავლის პროცესში სტუდენტებისა და აკადემიური/მონვეული პერსონალის უკუგების უზრუნველყოფა. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

14. ერთი (ECTS) კრედიტი უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

15. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: სახელწოდება; მოცულობა კრედიტებით; სტუდენტის დატვირთვის სახეები.

16. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

17. საგანმანათლებლო პროგრამის (ECTS) კრედიტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

18. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ პერსონალთან/სამეცნიერო პერსონალთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

19. კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმხორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

20. საერთაშორისო ბაზრისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლება უცხო ენებზე (უმეტესად, ინგლისურ ენაზე), ასევე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა (მაგალითად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები სხვა უცხოურ პარტნიორ ორგანიზაციებთან). 21. თითოეულ პროგრამას უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების საკუთარი სისტემა. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს რეგულარული შიდა შეფასების ელემენტებს, რომლებსაც მოჰყვება ექსპერტთა განხილვა

ან მსგავსი გარეპროცედურები.

მუხლი 19. სილაბუსის შინაარსი

სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში უნდა მიეთითოს: სასწავლო კურსის სახელწოდება; ავტორი; სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები; კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად; დაშვების წინაპირობები; სწავლის შედეგები; შინაარსი; სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების კრიტერიუმები; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

მუხლი 20. სტუდენტის შეფასება

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

6. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

8. საბაკალავრო (არსებობის შემთხვევაში)/სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

9. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი

მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული

სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

10. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი დადგენილი წესით დამატებით გამოცდას ნიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ეს რეგულაცია არ ვრცელდება საბაკალავრო (არსებობის შემთხვევაში)/სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

14. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება ამ მუხლის მე-9 ან მე-16 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

16. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის / კომპონენტების შეფასების ალტერნატიული სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი

(cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც

აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს

წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად

ვერ აკმაყოფილებს.

17. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის

„ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

18. საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, ამ შინაგანაწესითა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 21. აკადემიური წლის საორგანიზაციო წესი და ვადები

1. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

3. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

4. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 (ECTS) კრედიტს ან იყოს 60 (ECTS) კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

6. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების თარგვლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმში ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

7. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

8. სასწავლო უნივერსიტეტის ერთი აკადემიური წლის/სემესტრის/სასწავლო კვირის პერიოდი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტ(ებ)ით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, - სემესტრის სასწავლო პროცესის განრიგით.

9. სემესტრის სასწავლო პროცესის განრიგში უქმე დღეებისა და არდადაგების პერიოდი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პირობები/მექანობები

1. შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების ფართო სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თავისი პერსონალი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო

გარემოთი;

ბ) გონივრულ ვადაში მიაწოდოს პერსონალს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე;

გ) დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით;

ე) სახიფათო მონაცობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან

ნაკლებად სახიფათოთი;

ვ) მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა პერსონალის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად. ასევე საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის;

ზ) სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის

მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები;

თ) უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის

კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის ქონების დაცვას, სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და სახანძრო უსაფრთხოებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში უნარშემზდულ პირთათვის ყველა სახის დახმარებას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მათი შუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების მიზნით უზრუნველყობს (უნყვეტად დღეღამის განმავლობაში) დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი/კონტრაქტორი სამართალსუბიექტი.

4. სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული უნდა იყოს ევაკუაციის გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

5. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი/კონტრაქტორი სამართალსუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანანგის დაცვა.

6. სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის საკითხებში სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი/კონტრაქტორი სამართალსუბიექტი

თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალის/კონტრაქტორი სამართალსუბიექტის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მექანიზმები ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული და შეთანხმებული თანამშრომლობის საფუძველზე.

8. დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი/კონტრაქტორი სამართალსუბიექტი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის შიდა და გარე ტერიტორია და წესრიგის/უსაფრთხოების პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს ადეკვატური ზომები (დაუკავშირდეს სამართალდამცავ/სასწრაფო სამედიცინო დახმარების/საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებს/პერსონალს, შესაბამისი წესების დაცვით დაეხმაროს შენობაში მყოფებს შენობის უსაფრთხოდ დატოვებაში, ადეკვატური ძალების/შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი გადაუდებელი/პირველადი ღონისძიებები/მოქმედებები და ა.შ.).

9. სასწავლო უნივერსიტეტში ხანძრის შემჩნევის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, სავალდებულოა გატარდეს ევაკუაციის შემდეგი პროცედურები:

ა) ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და

უსაფრთხოების პერსონალს/კონტრაქტორ სუბიექტს/სახანძრო-სამაშველო სამსახურს;

ბ) ხანძრის შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დატოვება; გ) ევაკუაციის მარშრუტის

აუცილებლად გაცნობა (იხ. ევაკუაციის გეგმა);

დ) შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ეზოში, რომ სწრაფად დადგინდეს

შენობაში დარჩენილი ადამიანების რაოდენობა, რათა მათ მიმართ დროულად გატარდეს საჭირო ღონისძიებები;

ე) ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად, რაც გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშვებას ევაკუაციის დროს. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი/კონტრაქტორი სუბიექტი ან/და სახანძრო-სამაშველო სამსახური უზრუნველყოფს მათს ევაკუაციას;

ვ) ოთახებისა და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობისამებრ სწრაფად უნდა დაიხუროს ფანჯრები და

კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;

ზ) პირადი ნივთების წაღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო იძლევა ამის საშუალებას;

თ) ევაკუაციის დროს უნდა შენარჩუნდეს სიმშვიდე და სინყნარე, რათა ყველამ გაიგონოს იმ პირთა მითითებები,

რომლებიც ხელმძღვანელობენ ევაკუაციის პროცესს;

ი) თუ კონკრეტული გასასვლელი ჩახერგილია, განთავსება უნდა მოხდეს შედარებით უსაფრთხო ადგილას. ამასთან უნდა მოხდეს სხვებთან დაკავშირებისა და ადგილმდებარეობის შეტყობინების მცდელობა, ხოლო შემდეგ მაშველებისთვის დალოდება;

კ) ევაკუაციის შემდგომ არ შეიძლება შენობაში დაბრუნება უფლების აღებამდე;

ლ) შესაძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ სავალდებულოა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში (ნომერზე 112) დაკავშირება და გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინებების გადაცემა.

10. სტუდენტების/პერსონალის საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების დროული/გადაუდებელი და ხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი აღჭურვილია ყველა შესაბამისი აღჭურვილობით, მედიკამენტებითა და სამედიცინო სახარჯი მასალებით.

11. სტუდენტების/პერსონალის საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას.

12. სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები/პერსონალი უნდა დაუკავშირდნენ სასწავლო უნივერსიტეტის სამედიცინო პერსონალს ან დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალს/კონტრაქტორ სუბიექტს.

13. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები: ა) დროულად მოუხმოს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალს;

ბ) დაზარალებული არ გადაადგილოს კომპეტენტური პირის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

ადგილზე დარჩენა სახიფათოა;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს (ნომერზე 112) და

გააკეთოს გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინებების გადაცემა.

14. პერსონალს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. 15. დასაქმებული ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმ გარემოების შესახებ, რომლის

გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ბ) შეასრულოს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებასა თუ მფლობელობაში არსებული მანქანებითა და

მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები;

გ) გამოიყენოს მისთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

დ) შეასრულოს შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ სამუშაოთა შესრულებისა და სასწავლო

უნივერსიტეტის შენობაში ქცევის წესებს.

16. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, მათ შორის, სასწავლო უნივერსიტეტის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

17. შრომის დაცვის წესების/უსაფრთხოების პირობების დარღვევისათვის პირს შეიძლება დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

თავი III. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის პირველადი ადმინისტრაციული და სემესტრული რეგისტრაცია

მუხლი 23. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან/და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საქართველოს ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება და სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი სასწავლო წლისთვის დადგენილი პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა.

2. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია მოიცავს სტუდენტთა სიაში ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად საჭირო დოკუმენტების წარმოდგენასა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ერთი სასწავლო წლის სწავლის საფასურის 25%-ის გადახდას.

3. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის მიერ სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების წარმოშობიდან და გრძელდება აკადემიური სემესტრის დაწყებამდე არაუმეტეს 3 სამუშაო დღით ადრე.

4. პირმა რომელმაც მოიპოვა სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება, პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ, საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად სასწავლო უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (აბიტურიენტმა);

გ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგისტრანტობის კანდიდატმა);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მისივე დედნის წარდგენით - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა);

- ე) ფერადი ფოტოსურათი (3X4-ზე) ელექტრონული ვერსია CD-R;
- ვ) ერთი აკადემიური წლის სწავლის საფასურის 25%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლობს თვითდაფინანსებით ან/და ნაწილობრივ თვითდაფინანსებით).

მუხლი 24. სტუდენტის სემესტრული რეგისტრაციის წესი

1. სწავლების შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ შინაგანწესით დადგენილი წესით, გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია. კერძოდ: ადმინისტრაციული რეგისტრაცია (ერთი აკადემიური წლის სწავლის საფასურის 25%-ის გადახდით) და აკადემიური რეგისტრაცია (სტუდენტის მიერ სწავლების მომდევნო სემესტრზე სწავლის გასაგრძელებლად საჭირო კრედიტების დაგროვება).
2. სახელმწიფო ან/და სხვა საგრანტო/სოციალური პროგრამების შედეგად ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ სემესტრული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში. ხოლო სტუდენტების სწავლის დაფინანსების ვადები, რომლებმაც დადგენილი წესით მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტით სწავლის დაფინანსების უფლება, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სემესტრული რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება აკადემიური სემესტრის დასრულებიდან და გრძელდება მომდევნო აკადემიური სემესტრის არაუმეტეს 2 სასწავლო კვირის განმავლობაში.
4. სემესტრული რეგისტრაციის პერიოდში (სწავლების პირველი სემესტრის გარდა), სტუდენტი ეცნობა მის მიერ წინა სემესტრში გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებსა და დაგროვილი კრედიტების (როგორც საგნობრივი, ასევე ჯამური) რაოდენობასა და იმ სასწავლო დისციპლინების ნუსხას, რომლის სწავლების უფლებაც მოიპოვა ამ ეტაპზე გავლილი სასწავლო კურსებისა და დაგროვილი კრედიტების შესაბამისად. ასევე მას შეუძლია გაეცნოს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ინფორმაციას თითოეული სპეციალობის შესახებ და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს. სტუდენტები რომლებიც ვერ გაივლიან აკადემიურ რეგისტრაციას (დასამუშავებელი საგნების კრედიტების ჯამი აღემატება 15 ერთეულს), კარგავენ ლექციებზე დასწრების უფლებას.
5. დადგენილი წესით პირველადი ადმინისტრაციული/სემესტრული რეგისტრაციის გავლის გარეშე სასწავლო პროცესზე დაშვების შემთხვევაში, სტუდენტს არ აქვს უფლება მოითხოვოს შესაბამისი რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური და/ან დასკვნითი შეფასებ(ებ)ის) აღიარება. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტის ფაქტობრივი სოციალური პირობების და/ან სწავლის მაღალი მზაობის გათვალისწინებით, აღიაროს სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურებით მიღებული აკადემიური შედეგები და დაუშვას სწავლების შემდგომ ეტაპზე.

6. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება ან/და გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრში გადატანა სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 3 აკადემიური კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან/და მომდევნო აკადემიურ სემესტრ(ებ)ში მისი გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

თავი IV. სტუდენტის განათლების აღიარების წესი

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პროფილის სპეციფიკისა და ფინანსური საკითხების გათვალისწინებით, შეიძლება განხილულ იქნეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის საკითხი. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტს სასწავლო უნივერსიტეტმა შეიძლება შესთავაზოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა. სტუდენტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ხდება მისი თანხმობის საფუძველზე.

3. შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ან/და დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველის კრედიტების აღიარება ექვემდებარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა (ECTS) და არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენას. სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოგროვილი კრედიტების თავსებადობისა და მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა დადგენილი წესით. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მიუხედავად მათ სახელწოდებაში არსებული სხვაობებისა.

4. შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ან/და დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველის ცოდნისა და უნარ-ჩვევების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა და კრედიტების აღიარება ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

5. თუ სასწავლო უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 26. სტუდენტის მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილების (მობილობის) წესი – სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება, განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ.

2. მობილობის მსურველი უფლებამოსილია დადგენილი წესით მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს განცხადებით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილი წესით არ მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტს, კარგავს სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სასწავლო უნივერსიტეტი ახდენს მობილობის მსურველთა მიერ მანამდე ათვისებულ საგანმანათლებლო პროგრამების/კრედიტების აღიარებას და შეიმუშავებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტ(ებ)ის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რომელსაც წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. რომელიც ამოწმებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის პროექტში მითითებულ მონაცემებს და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მითითებული დასკვნისა და ამ შინაგანაწესის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტი ახდენს მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვას.

4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის გამოცემისას პროექტიდან ამოღებული უნდა იქნენ ის პირები, რომელთა ჩარიცხვაზეც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დადებითი დასკვნა არ გაუცია ან რომლებიც დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტაციას ან/და არ გაივლიან პირველად ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

5. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი დადგენილი წესით უფლებამოსილია გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის შემთხვევაში მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სტუდენტის მოთხოვნით გასცემს ცნობას მისი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ. აღნიშნული ცნობა სტუდენტის წერილობით განცხადებასთან ერთად წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტს, რომელზედაც შესაბამის ვადაში გამოიცემა

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი განმცხადებლისთვის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და სტუდენტს მიეცემა მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

6. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში (შიდა მობილობა). შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში ორჯერ შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე. შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების სხვადასხვანაირად კომბინირება საშუალებას აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში, გავლილი საგნები/მოდულები ჩაეთვალოს დამატებითი სპეციალობის პროგრამაში (გარდა რეგულირებადი სპეციალობებისა, რომელთა პროგრამა დამატებით სპეციალობის მოდულს არ ითვალისწინებს).

7. შიდა მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ახალ საგანმანათლებლო პროგრამებთან. საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადაყვანილ სტუდენტს დაუწესდება სწავლის საფასური იმავე ოდენობით, რაც დადგენილია იმ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის სადაც იქნა გადაყვანილი. პროგრამული თავსებადობისთვის თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროებს დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის გავლას, დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური გაუთანაბრდება იმ წელს სწავლების პირველ სემესტრზე დადგენილ სწავლის საფასურს.

8. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტი წყვეტს თუ რა ეტაპიდან არის შესაძლებელი სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება და დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სტუდენტი სწავლის გაგრძელების მიზნით ჩაირიცხება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9. მობილობის წესით გადმოსვლის/აღდგენის მსურველთა კრედიტების აღიარება ექვემდებარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა (ECTS) და მათ მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობის დადგენას. სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ან/და შიდა მობილობის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოგროვილი კრედიტების თავსებადობისა და მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარებაც, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამით. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მიუხედავად მათ სახელწოდებაში არსებული სხვაობებისა. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებული იქნეს სხვა პროგრამის მიზნებისათვის.

10. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასაუბრების ან შიდა გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარჩვევების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან. თავსებადობის არ არსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

11. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ან/და შიდა მობილობის მსურველთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა და კრედიტების აღიარება ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის მოტივირებული გადანაცვეტილებით (დასკვნით).

თავი V. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სხვა დამატებითი პირობების შესრულების წესი

მუხლი 27. საბაკალავრო ნაშრომი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაკალავრიატზე მიღების, სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით.

2. სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

3. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4. საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 30 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები: ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და

მოკლე დასკვნას);

ბ.ვ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული

მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები,

ცხრილები, ნახაზები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური

თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები,

სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის

ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (ინერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი (მაგ.: 15, 150-161);

ბ.გ.გ) ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სქოლიო (მაგ.: იხ. დანართი 2).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები,

დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი (სქოლიო).

5. სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის მე-8 სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

6. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამონმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, საბაკალავრო ნაშრომს განიხილავს (წინასწარი განხილვა) და აფასებს 60 ქულის ფარგლებში არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

7. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

8. საბაკალავრო ნაშრომი შეფასების საერთო სისტემაში განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, მისი დადგენილი წესით დაცვის შედეგად მიღებული შეფასება კი აღინიშნება შესაბამისი დიპლომის სტანდარტულ დანართში.

9. საბაკალავრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ - ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა.ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;

ა.ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა; ა.გ)

საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 10 ქულა;

ა.დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 20 ქულა; ა.ე)

ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

ბ) საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა - ფასდება 40 ქულით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, შემდეგი

კრიტერიუმების მიხედვით:

ბ.ა) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება -10 ქულა; ბ.ბ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა; ბ.გ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

ბ.დ) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

10. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

11. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

12. საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. ხოლო საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და საბაკალავრო ნაშრომი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

მუხლი 28. სამაგისტრო ნაშრომი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე მიღების, სწავლისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით.

2. სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

3. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4. სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 60 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

- ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები: ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);
- ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);
- ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევე საგანი და გამოყენებული მეთოდები);
- ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები);
- ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს);
- ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).
- ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:
- ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;
- ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;
- ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;
- ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (ინერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;
- ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ

გამოცემისა, რომელშიც მოქიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოქიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი (მაგ.: 15, 150-161);

ბ.ზ.ზ) ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სქოლიო (მაგ.: იხ. დანართი 2).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები,

დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი (სქოლიო).

5. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მე-3 სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში.

7. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებითა და შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით.